მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვის

სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი #1

ქ.თბილისი

16 მაისი 2018 წელი

შპს „მექანიზატორი"-ს გენერალური დირექტორის 2017 წლის 19 მაისის #43 ბრძანებით შექმნილმა სახელმწიფო შესყიდვების სატენდერო კომისიამ 2018 წლის 16 მაისს შპს „მექანიზატორში" გამართა სხდომა. სხდომაზე განხილული იქნა საქართველოს მთავრობის 2018 წლის 10 აპრილის N169 დადგენილების საფუძველზე 3 ერთეული 60 ცხ/ძ სიმძლავრის ტრაქტორის შესყიდვის განხორციელების საკითხი.

სხდომას ესწრებოდა სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. პაატა შეყელაძე - შპს „მექანიზატორი"-ს გენერალური დირექტორი;
2. ნიკოლოზ თოიძე - შპს „მექანიზატორი"-ს ფინანსური დირექტორი;
3. თენგიზ ცარციძე - შპს „მექანიზატორი"-ს გენერალური დირექტორის მრჩეველი;
4. პაატა ბარათაშვილი - შპს „მექანიზატორი"-ს ადმინისტრაციული დირექტორი;
5. გოჩა ზეიკიძე - შპს „მექანიზატორი"-ს კომერციული დირექტორი;
6. ივანე ბოკუჩავა - შპს „მექანიზატორი"-ს ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დირექტორი;
7. კონსტანტინე ჯაში - შპს „მექანიზატორი"-ს კონტროლისა და შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი;

სხდომის დღის წესრიგი:

1. 3 ერთეული ტრაქტორის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.
2. ტენდერის გამოცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს და გადაწყვიტეს:

1. 3 ერთეული ტრაქტორის შესყიდვის მიზნით დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, წინამდებარე ოქმის თანდართული დანართების შესაბამისად შემდგომში მისი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის მიზნით;
2. ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 16 მაისი, ხოლო წინადადებების მიღებისა და დასრულების ვადად განისაზღვროს 27.05.2018 – 30.05.2018 წ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების შესაბამისად.

სატენდერო კომისიის სხდომა დახურულად გამოცხადდა და გადაწყდა, რომ შემდეგი სხდომა ჩატარდება წინადადებების მიღების დასრულების დღიდან არაუმეტეს 5(ხუთი) სამუშაო დღის ვადაში:

დანართი N1 - შპს „მექანიზატორი"-ს გენერალური დირექტორის 2017 წლის 19 მაისის N 43 ბრძანება - 2 (ორი) ფურცელი;

დანართი N2 სატენდერო განცხადების ტექსტი;

დანართი N3 3 ერთეული ტრაქტორის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისიის წევრები:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: პაატა შეყელაძე

წევრები: ნიკოლოზ თოიძე

თენგიზ ცარციძე

გოჩა ზეიკიძე

ივანე ბოკუჩავა

კონსტანტინე ჯაში

პაატა ბარათაშვილი

აპარატის წევრები: ვლადიმერ ჭავჭანიძე

თემურ ცუცქირიძე